

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дრობა“.
გაზეთის ფასი
წელიწადში 8 — მან., და ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
საღიჯ ნომერი — ერთი შაური.

ფრონტი

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.
განცხადების ფასი
დღი ასობით, ასობზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციფროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტითი — 4 კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა.
დაუბეჭდელი ხტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გაეოლდის კვირადღით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

სამართველო

წინადადება

სტატია შორე და უკანასკნელი
პირველ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ჩვენი განათლებული ახალგაზდობა ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას, რომ ეს ახალგაზდობა ამ ქვეყანაში მხოლოდ ჩინოვნიკობას ეტანება და ამ ნაირად იფიქრებს და უყურადღებოდ სტრუქტურებს ჩვენი ცხოვრების იმ მხარეებს, რომელსაც ყველაზე უფრო ეჭირება მცოდნე-კაცების დახმარება და ხელის მომართვა.
მართადერთი დასკვნა შეიძლება გამოიყვანოს აქედან კაცმა: საზოგადოება უნდა ცდილობდეს, ისეთი შეიღებო გამოზარდოს, რომ პირდაპირ ხალხსა და ქვეყანას გამოადგეს თავის კეთილის მიმართულებითა და ცოდნით.
წარსული მაგალითები მომავლის გზას უნდა გვიჩვენებდეს: დაგროვებული, რომ მცოდნე იურისტებითა და ჩინოვნიკებით გავსებამ მაგდინი სარგებლობა ვერ მოეტანა ჩვენს ქვეყანას; — მაშა სადამე ახლა სხვა გზას უნდა შეუდგეთ.
ბევრჯელ გეითქვამს — თუ როგორი უნდა იყოს ეს ახალი გზა, თუ რა გვარი მცოდნე-კაცები და განათლებულნი ეჭირება ამ ქვეყანაში ჩვენს

ქვეყანას; ბევრჯელ გეითქვამს, რომ ბუნებით მდიდარსა და უხვად შემკობილ საქართველოს ყველაზე უფრო ისეთი კაცები ეჭირება, რომელთაც იცოდნენ ამ ბუნებითი სიმდიდრის გამოყენება, რომელთაც, თავის ცოდნითა და წინდახედულობით, დაგვისნან იმ უცხო-ქვეყნელებისაგან, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში შემოსევასა და ჩვენი ადგილ-მამულებისა, წარმოებისა, მანძებისა და სხ. დაქვრას გვემუქრებინან.
როგორ შეიძლება, მკითხავთ, ამ მიზნის მიღწევა?
შეგლოფერი იდეილად შეიძლება, თუ კაცს ესმის და გულით უნდა რამე შეასრულოს.
წარმოიდგინეთ რომელიმე დიდი მეოჯახე, რომელსაც ჰსურს, მაგალითად, რომ მცოდნე მებაღე ჰყვანდეს, ან ლენის დამყენებელი, ან აბრეშუმის, თამბაქოს და სხ. ანაგე. კეთების მცოდნე კაცი. თუ ის კეთილგონიერი კაცი და თავის სარგებლობა კარგათ ესმის, უცხო ქვეყნიდან არასოდეს არ მოიწვევს თავის მამულის გამგებლებს. ის ამაჯობინებს, რომ თავის მცნობ ახალგაზდებში ერთი რომელიმე ამოარჩიოს და გაგზავნოს სადმე იმ მეთრეობის ნწილის სასწავლებლად, რომელიც იმას ეჭირება; და გაგზავნოს იმ პირობით, რომ, როცა კარგთ შეისწავლის და დაბრუნდება, უიქველად იმის მამულს მოჰკიდოს ხელი.

მავე შეუძლიან მთელს საზოგადოებასაც. თუ ის ჰხედავს, რომ ახლანდელ ახალგაზდებში ისეთი მცოდნეები არ არიან, რომელნიც იმისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ, ადვილად შეუძლიან, რომ ამისთანა ახალგაზდები რა საშუალებითაც იქნება გააჩინოს.
და ვერ-ჯერობით, სანამ ჩვენს საადგილ-მამულთა ბანკებს იმდენი ფულები მოჩრებოდეს თავის ოპერაციებიდან, რომ ჩვენი საზოგადოების დახმარება შეეძლოს ამ მხრითა, (როგორც წესდებებშია გამოცხადებული), სანამ სხვა რამ სახსარი არ გამოგვიჩინოს, მხოლოდ ერთადერთი ის საშუალება გვიჩვენება, რომელსაც „თფილისის მოამბე“ გვიჩვენებდა ამას წინათ: ე. ი. რომ ჩვენში შესდგეს საზოგადოება, წრე ან სხვა რამე, რომელმაც ამ საგანზე იზრუნოს, რომელმაც მოაგროვოს ფულები იმისთვის, რომ ჩვენ ახალგაზდებს უმაღლესი სწავლის შესრულების ღირნის მიება აღმოუჩინონ.
ამ გვარ საზოგადოებას ზნეობითი და სხვა ყოველგვარი უფლება ექნება, რომ თავის ხარჯით გაგზავნილ ახალგაზდებს ისეთი საგნების შესწავლა მოსთხოვენ, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის გამოსაყენებელი იქნება, და შემდეგ ისე ჩვენში დაბრუნდნენ და იმუშაონ.
თუ მთელს დედამიწაზე, თუ რუსეთის პატარა ქალაქებშიაც კი არის

ამგვარი მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოებანი, უიქველია, ჩვენშიაც მოხერხდება, რომ დაარსდეს, ჩვენშიაც ვეროვან სარგებლობას მოიტანს.
ს. მესხი
სამწუხარო ამბავი მოგვიტანა დღევანდელმა ფორტამ: ჩვენი მპიფანე ძალანდაძე გადაცელილია. მისი უღროვო სიკვდილი საგრძნობელია!
მართალია, ის არ ყოფილა ჩვენის (მე ვამბობ, როგორც ქართველი) „ახალ-ცხოვრების“ მოციქული, მაგრამ ისეთი მნიშვნელობა კი ჰქონდა მისთვის, როგორც პირველ-საუკუნეების ქრისტიანებს ახალ-აღთქმისათვის... არც მომავალში მოველოდით მისგან გორგასლანურს, რომ ბაყათარი შეეფუსრა; მაგრამ მცირე რაზმში კი, მაშინ, როდესაც ასი დამოთხმოც-და-ათი სხვა ბანაკშია გადასული და დანაშთენ ათშიაც რეა საეჭვოა, სანდო მხედარად და საიმედოდ მუშად საგულდებელი იყო. იქ არ ეკუთვნოდა ი... ახალგაზდობა... იმას სძულდა ის ახალგაზდები, რომელნიც გარეგნობით იჩენენ თავს და იღუმალი კი პირად-ენებების ასასრულდებლად საზოგადო ინტერესებს უარა-ჰყოფენ!...
ის იყო იმ მცირე გუნდიდან, რომელიც დღეს გულ-გახეთქილი შეკუთრებს ჩვენს საზოგადოების დაცემას

ფაბრიკა

სცენები

პირველი სცენა
წაშუადღევი. ბულვარში ორმოცს მიწით აყვებენ. მღი ქალი სკამზედ ზის.
პირველი. მართალია, ქალი, რომ რაც ორმოცდია უნდა ამოაცხონო?
მეორე. ქა, გენაცვალე, განა ვერა ჰხედავ?
— შენს პირს შაქარი!...
— ქა, შენ რა გიხარია?
— ბენაცვა, გასახარელი არ არის? ბული წაიღო ამდენმა შიმში და სიფრთხილემ. დღეს თამაზად მაინც გაიყლის ადამიანი.
— რა ექნა?! შენ რისა გეშინოდა?
— შმაწვილების, გეთაყვა: ხომ მოგეხსენება, ყმაწვილი ცელქია, მუდამ ფეხზედა სდგას... მრჯერ-სამჯერ უნებურად ჩამივარდნენ ორმოცში და გაწუნწული ამოიღეს!
— შიმე, დამიღვა თვალები! ხომ არა დამართინათ რა...
— დეთის მადლით გადარჩენ!...
— რამდენი გყვს, ქალი?

— სამი!
— სამი? ნატავი შენ!... როგორ უფლი თავის? მე ერთმაც შემწუნა!
— რამხელა არის შენი?
— ბეარბანი მოზდილია, გენაცვალე, მაგრამ უხეუროა!
— როგორ?
— შენმა სიცოცხლემ, ჩუჩხურს არ ვაკლებდე, მაგრამ არ იქნა, ვერ გადავიდა მეორე კლასში. სულ პირველში ავდიო.
— შთუოთ ბერძნულსა და ლათინურში არ იქნება გასწავლული და უმისოთ, თუ იმაში არ გაიმართა, არ გადაყვანებენ.
— მაშ რა ექნა?
— მიაბარე ვისმეს და მოგიმზადებენ.
— ბევრს თხოულობენ და ვისა აქვს მისი თავი.
— აი ახლა რომ გახსნეს სამმა ამხანაგებმა, იქ მიეცო.
— ბევრს თხოულობენ; ვისა აქვს სამაი ძანეთის თავი! ას რომ დამჯერდებოდნენ, ნუ თა ვარ...
— ქა, მაგრამ სამი არიან.
— მართი რომ მიიღებდეს და ასს იკმარებდეს...
— მერე ის ორი კი მოიშორებს?
— მისი ნება იქნება...

— არა!.. რადს ივარგებს? მაშინ წამყოფი აღარა გამოვარა!
— მაშ რა ექნა, რა მეშველება?
— ზაბედე სამასი...
— მშ მეტი რა ღონეა. მე მესმის, თუ რა არის დედის ვალი! მადანებლი! ზავეჭირვებ და მივსცემ.
მეორე სცენა
შემოდინ ბულვარში ერთი მოხუცებული და მეორე ახალგაზდა.
მოხუცი. დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი.
ახალგაზდა. რა ამბავია?
— საკვირველება. რა ენახე და სად ვიყავი?!
— სად იყავი?
— ძაღლთან.
— ჰმ...
— დიახ, ნასწავლი ძაღლი რომ ჩამოუყვანიათ!.. შორტოფიანს უკრაეს!
— უკრავს? ბარიშნა იქნება!
— ბარიშნა კი არა, ძაღლია კანკურში!.. ძიდევ იმდერის.
— იმდერის?
— მერე როგორ?.. აჰ დღევანდში თფილისის ოპერაში ვიყავი და იქ ამა-

ზედ უკეთ ველარ იმდერენ!
— რას ამბობ?
— ახლა სხვას აღარ იკითხავ? ანგარიშობს.
— მართლა? მაშ აქ ტყვილა მოუყვანიათ: აქ საანგარიშო აღარა დაგვრჩენიარა. რაც იყო, გვათავეთ. ზავეჭირვით!...
— ძაღლდს თამაშობს, და თამაშობს ისე, რომ კაცი ვერ მოუგებს.
— შულერია? ტყუილათ მოუყვანიათ: აქედამ რას გაიტანს?
— მართის სიტყვით, მეცნიერია. მეცნიერი!.. მასწავლებელათ ივარგებს რაღა!...
— ნუ ხუმრობ! ძიდევ ლოთობს? არაყს თუ სეამს?
— მე კი აღარ მიკითხავს!
— მაშ წავედეთ, შევიტყოთ. (მიდინა).
სცენა მესამე
შემოდინ ადვოკატი და კლიენტი
ადვოკატი. მომილოცავს! მოიგებ.
კლიენტი. მარჩევა ხეალ არის და რა ვიცი!
— მე გუთბენი მომილოცავს თქო! მოიგებ და ვათავედა!

და სიმწარითა ჰყუფ... საზოგადოთ...

ჩვენმა კეთილმა მოძქემ კარგათ...

მშვიდობით, ჩვენო საყვარელო...

მშვიდობით! საუკუნოდ იყოს შენი...

სასამართლოში, სადაც უსამართლო...

მ. მალოს საქართველოს მეორე...

მშვიდობით! საუკუნოდ იყოს შენი...

ამ საქმის თაობაზე ახლა გამო...

ჩვენ გავეგეთ, რომ იმერეთის ბან...

ქრისტეშობის თვეში ვერ მივრებ...

მართი ჩვენი იმერელი კორრესპონ...

ქართული წიგნების გამოცემის...

მიღეთ მხედველობაში, რომ მომე...

ჩვენ გავეგონეთ, რომ, რამდენიმე...

ქართული წარმოდგენების მოყვა...

ამ მოკლე ხანში იქნება აგრეთვე...

შორაპნის მახრილად გვეწერენ, რომ...

ამ მოკლე ხანში რუსულს ენაზე...

„ღრუბლის“ კორრესპონდენცია

ქართლიდან, ლენინობისთვის 11-ს...

დღიური

შობულებითად გვეწერენ, რომ იქ...

- რა იცი!
— როგორ თუ რა ვიცი!...
— თქვენს პირს შეპირი!...
— არა, შეპირებ ნუ შეწყუბდებოთ...

- ნეთი! ადვოკატს ტაქსა!!.. მურდები იპოვნეთ?
— არა, ვეძებთ. (მიღან)
მეოთხე სცენა
მართი მოხუცი დედა-კაცი შამოდის წუწუნით...

- ზადმომივარდა მალლიდამ და ფეხი იღრძო...
— შექიმებმა რა ქნეს?...
— მაჯა უნახეს და როგორც იქნა მესუთე ვიზიტზედ შეიტყუეს...

- ღმერთმა ნუ მომცეს ცუდი კაცი მეგობრად და კარგი მტრად.
— აი, მაგრამ ცუდები უზომოთ მეტი არიან.
— რა გაეწყობა.
— არა, არა ჩემო ნათლულო! მკადე, მოახერხე რომ შეგიყვარონ.

